



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 11

2016 წლის 4 იანვარი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 12 ივნისის №896 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 12 ივნისის №896 ბრძანებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ და ჯგუფის უფროსის მოვალეობა დროებით - მ/წლის 5 იანვრიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში დაეკისროს „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ივანე წიქარიშვილს.

მუხლი 2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ივანე წიქარიშვილს.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი: 5  კარლო ჯამბურია

